



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 164/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გურამ ლექვინაძე (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატი (*შემდგომში - „საჩივრის ავტორი“*) წარმოადგენდა მოსარჩელის ინტერესებს სასამართლოში. მოპასუხე გახლდათ სერტიფიცირებული ადვოკატი (*შემდგომში - „ადვოკატი“*). სასამართლოში სხდომის დასრულების შემდეგ, დარბაზში ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის კონფლიქტი სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო, რომელიც დასრულდა მცირე ფიზიკური შეხებით, კერძოდ: ადვოკატის მხრიდან, სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად განხორციელდა ფეხის მოქნევა.

პროცესუალური ისტორია

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 9.1. მუხლი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 მუხლის გ) ქვეპუნქტი.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია, რომ მოცემულ სამოქალაქო დავაზე ადვოკატი თავად იყო მოპასუხე მხარე, ის ამ კონკრეტულ საქმეზე არ წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და ამ შემთხვევაში, არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. ვინაიდან იგი არის ლიცენზირებული ადვოკატი, მისი პროფესიული მოვალეობაა, რომ სასამართლო დარბაზში მისი ნებისმიერი მოქმედება შეესაბამებოდეს ადვოკატის პროფესიულ ღირსებას, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, რომლის შენარჩუნებაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს იგი კლიენტს თუ თავად არის მხარე სამართალწარმოების განხორციელებისას. კოლეგიის შეფასებით, ის ფაქტი, რომ ადვოკატი სამოქალაქო დავაში იყო მოპასუხე მხარე, არ ცვლის იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მან საჩივრის ავტორს ფეხი მოუქნია, ვინაიდან მოსარჩელე მხარისათვის და სასამართლოსთვის მისი პროფესიის შესახებ ცნობილი იყო და მისი ქმედება აღიქმებოდა როგორც არა ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ განსაზღვრა, რომ ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გ) ქვეპუნქტი და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 9.1. მუხლი. დისციპლინური სახდელის ფორმად ადვოკატისათვის განისაზღვრა, გაფრთხილება.

¹ გადაწყვეტილება 164/13, თარიღი 16.07.2014

<https://gba.ge/pdf/5c484b14b0d66.pdf/5c484b14b0d66.pdf>